




## 2011 წლის სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების (სსო) მდგრადი განვითარების ინდექსი - საქართველო

მე-15 გამოცემა – ივნისი, 2012 წელი


### სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების (სსო) მდგრადი განვითარება 4.2

2011 წლის მაისში, საქართველოში თავი იჩინა პოლიტიკურმა დაძაბულობამ მაშინ, როდესაც გარკვეულმა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა მოახდინეს არასანქცირებული მიტინგისა და სავალი გზის ბლოკირების ორგანიზება, რაც სამართალდამცავმა ორგანოებმა აღკვეთეს. განვითარებული მოვლენების გამო, სამოქალაქო საზოგადოებამ გააკრიტიკა მონაწილე მხარეები, მომიტინგები და პოლიცია.



სამართლებრივი სტატუსის მინიჭებას; რელიგიურ უმცირესობებს მიეცათ სამუალება დარეგისტრირებულიყვნენ, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ამ გადაწყვეტილებას კრიტიკული რეაქცია მოჰყვა ქართული

### 2011 წლის ქულები - საქართველო



2011 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონმდებლობა, რომელსაც მოჰყვა არაერთგვაროვანი გამოხმაურება. კანონში

ცვლილებები  
ითვალისწინებდა  
რელიგიური  
უმცირესობებისთვის




მართლმადიდებელი ეკლესიისა და მასთან ასოცირებული ტრადიციული (კონსერვატიული) ჯგუფების მხრიდან.

საქართველოს ერთიანი საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, 2010 წლიდან 2011 წლამდე სსო-ების რიცხვი 14 000-დან 16 000-მდე გაიზარდა. თუმცა, აქედან ორგანიზაციების მხოლოდ მცირე ნაწილი ფუნქციონირებს. საქართველოში სსო-ების ლიკვიდაცია (გაუქმება) მრავალი პროცედურის გავლას მოითხოვს, რის გამოც იმ ორგანიზაციათა ნაწილი, რომელთაც შეწყვიტეს საქმიანობა, ფორმალურად რეგისტრირებული რჩება.

საზოგადოების ნაწილისთვის სსო ასოცირდება რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან ან ძალასთან. ცნობადია მხოლოდ რამოდენიმე ორგანიზაცია, რომელიც ქვეყანაში სხვადასხვა საკითხებს უწევს მონიტორინგს, მათ შორის არიან: ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI), თავისუფლების ინსტიტუტი, ფონდი „დია საზოგადოება საქართველო“ (OSGF) და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED). მიუხედავად იმისა, რომ 2011 წელს მედიაში უფრო აქტიურად შუქდება სსო-ების საქმიანობა, მაინც არ იცვლება საზოგადოების შეხედულება სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან დაკავშირებით.

### სამართლებრივი გარემო: 3.3



2011 წელს ზოგადი საკანონმდებლო გარემო დადებითად ვითარდებოდა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასარგებლოდ, თუმცა ეს პოზიტიური ტენდენცია მნიშვნელოვნად დაჩრდილა 2011 წლის დეკემბრის მიწურულს პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებით მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა.

ახალი რეგულაცია ვრცელდება პირებზე, რომლებიც „პირდაპირ“ ან „ირიბად“ არიან დაკავშირებული პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, თუმცა არ არის ნათლად განსაზღვრული თუ რა იგულისხმება „ირიბ კავშირში“. კანონის ორაზროვანი აღქმა, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე შეზღუდვების გავრცელების საშუალებას იძლევა. ადგილობრივმა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებიც საქართველოში მუშაობენ დემოკრატიისა და პოლიტიკური პარტიების საკითხებთან დაკავშირებით, გააპროტესტეს არსებული კანონი და ინტენსიურ ლობირებას უწევენ ადექვატური ცვლილებების შეტანას 2011 წლის მიწურულს მიღებულ კანონში.

რელიგიური უმცირესობის ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების რამოდენიმე წლიანმა ადვოკატირებამ რელიგიური უმცირესობების იურიდიულ სტატუსის განსაზღვრის შესახებ შედეგი გამოიღო. 2011 წელს მიღებული კანონმდებლობის მიხედვით, სხვადასხვა კონფესიის ჯგუფებს შესაძლებლობა ეძლევათ დარეგისტრირდენ იურიდიულ პირებად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის წინააღმდეგი იყო, არასამთავრობო ორგანიზაციათა

უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამართლებლივი სტატუსის მინიჭება გააძლიერებს რელიგიურ უმცირესობებსა და სამოქალაქო საზოგადოებრივ ჯგუფებს.

2011 წელს განხორციელებული მორიგი პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილების მეშვეობით, პირველად საქართველოში საჯარო უწყებებს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გრანტების გაცემის უფლება მიეცათ. კანონის მიღებამდე, მთავრობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა შემოიფარგლებოდა სხვადასხვა ხელშეკრულებით. ცვლილება ინიცირებულია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ და მიზნად ისახავს სახელმწიფო დაფინანსების გაზრდას არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მთავრობასა და არასამთავრობო სექტორს შორის კოორდინირებულ ურთიერთობას.

2011 წელს განხორციელდა დადებითი ცვლილებები არასამთავრობო ორგანიზაციების საგადასახადო სისტემასთან დაკავშირებით. არასამთავრობო ორგანიზაციების საშემოსავლო გადასახადებთან დაკავშირებით, სსო-ების ადვოკატირების კომპანია წარმატებით დასრულდა. 2010 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსის თანახმად, გადასახადი არ ვრცელდება საწარმოს შემოსავალზე, რომელიც დივიდენდის სახითაა წარმოდგენილი, ამავე ტიპის რეგულაცია არ ვრცელდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციებზე. კანონში შეტანილი შესწორება, თანაბარ პირობებში აყენებს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნესის დივიდენდებს. ამასთან, გათვალისწინებული იყო იმის საშიშროებაც, რომ საგადასახადო ადმინისტრაციას შეიძლება არ ჰქონოდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობის ადეკვატური გამოცდილება. ახალი კანონმდებლობის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა ერთეულებს, მათ შორის კერძო სექტორს, რომლებმაც უნდა გაიარონ საგადასახადო შემოწმება, აუდიტისთვის შეუძლიათ მიმართონ როგორც სახელმწიფო საგადასახადო უწყებას, ასევე დამოუკიდებელ აუდიტორულ კომპანიას, რომელიც აკრედიტირებულია კანონის შესაბამისად. მსგავსი რეგულაცია არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო სექტორს თავიდან აარიდებს სახელმწიფოს მხრიდან საგადასახადო დევნას/ზეწოლას.

მეორეს მხრივ, 2011 წლის იანვრიდან, სახელმწიფომ 12%-დან 20%-მდე გაზარდა არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავეთა ხელფასების დაბეგვრა, რაც დამატებითი ტვირთია არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ხელფასები იბეგრება ისეთივე რეჟიმით, როგორც ბიზნესი.


საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციები არ იღებენ რაიმე სახის საგადასახადო შეღავათებს. მხოლოდ ის პროექტებია თავისუფალი დამატებითი ღირებულების გადასახადისგან (დღგ), რომლებიც აშშ-ის მთავრობის მიერ ფინანსდება. დონორებს შეუძლიათ თავიანთი შემოსავლების 10% მოახმარონ საქველმოქმედო საქმეს, რაც, საბოლოო ჯამში, გამოაკლდება დასაბეგრი შემოსავლის თანხას.

არასამთავრობო ორგანიზაციები განაგრძობენ საგადასახადო კოდექსის კრიტიკას. კოდექსის მიხედვით არ არის ცხადად განსაზღვრული თუ როგორ/როდის შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციას ეკონომიკური საქმიანობის წარმოება - კანონმდებლობაში დატოვებულია სივრცე თავისუფალი ინტერპრეტაციისა და რეგულაციისთვის, რაც, რიგ შემთხვევებში, გაურკვეველ ვითარებას ქმნის. არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების 2011 წლის მდგრადი განვითრების ინდექსი

აღნიშნავენ საზოგადოებაში მოხალისეობრივი საქმიანობის წამართლებრივი მექანიზმის არ არსებობას.

სამართლებრივი დახმარების კუთხით ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები საკმაოდ განვითარებულები არიან. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი (AVNG) და სხვა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მოსახლეობას იურიდიულ დახმარებას უწევს.

## ორგანიზაციული ქმედუნარიანობა: 4.1



მობილიზაცია და სამოქალაქო სექტორის გააქტიურება, რის მაგალითსაც წარმოადგენს, სამართალდამცავების მხრიდან ძალის გადამეტების თაობაზე 28 მაისს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული რამდენიმე ათასიანი საპროტესტო აქცია.


საერთაშორისო დაფინანსების გაზრდის მიუხედავად, არასამთავრობო ორგანიზაციები განიცდიან სამუშაო კადრების ნაკლებობას. სსო-ების მიერ პროფესიონალების სამოქალაქო სექტორით დაინტერესება უკავშირდება შრომის ბაზარზე არსებულ კონკურენციას სამოქალაქო სექტორს, ბიზნესსა და საჯარო სფეროს შორის. საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი რეგიონებში, მოქმედებს დაფინანსების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ძალიან რთულია კვალიფიციური კადრის შენარჩუნება მას შემდეგ, რაც პროექტი მთავრდება. დოკუმენტურად ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას ჰყავს გამგეობა და მისი წევრები განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით. თუმცა არც ერთი კვლევა არ ჩატარებულა, თუ რამდენად ფუნქციონირებს ეს სისტემა ორგანიზაციებში.

არასამთავრობო ორგანიზაციები დიდწილად დამოკიდებულები არიან დონორებზე. დამფინანსებლის პრიორიტეტების ხშირი ცვლა პირდაპირ აისახება არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობათა სფეროებზე. მხოლოდ სტაბილური დაფინანსების მქონე, განვითარებული სსო-ები ახერხებენ საქმიანობის გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმარებას.

არასამთავრობო ორგანიზაციებს გააჩნიათ მოკრძალებული ტექნიკური შესაძლებლობები, რასაც ისინი ერთმანეთს ხშირად უზიარებენ, რათა უზრუნველყონ თრგანიზაციის ხელმისაწვდომობა სხვადასხვა რესურსებზე.

ბოლო ორი წლის მანძილზე, საერთაშორისო დონორების დაფინანსება საგრძნობლად გაიზარდა, რასაც პირდაპირპორციული გავლენა ჰქონდა არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედუნარიანობის ამაღლებაზე. სამოქალაქო ორგანიზაციებმა თანდათან დაიწყეს პერსონალისა და სამოქმედო სფეროს გაფართოება. ასევე შეინიშნება

## ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა (მდგრადობა): 5.0



შედარებით მსხვილ ორგანიზაციებს, გააჩნიათ დივერსიფიცირებული შემოსავალი. მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ადგილობრივმა დაფინანსებამ იმატა, ძირითად შემოსავლის წყაროდ მაინც საერთაშორისო დონორები რჩებიან. საერთაშორისო დაფინანსება 2011 წელს კვლავ გაიზარდა.

2011 წელს განსაკუთრებით გაუარესდა სიღარიბის თემებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობა. მთავრობასთან კონტრაქტების საფუძველზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მომსახურების განსახორციელებლად გრანტს თითო სულ მოსახლეზე იღებდნენ. 2011 წელს მთავრობამ გაზარდა სიღარიბის ზღვარი, რამაც შეამცირა იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც სოციალურ დახმარებას იღებდნენ შესაბამის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან სახელმწიფო დაკვეთით.

მცირეა იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომლებსაც რაიმე სახის საკონტრაქტო ურთიერთობა აქვთ მთავრობასთან. 2010 წელს, არასამთავრობო ორგანიზაციების 25 პროცენტზე ნაკლებმა მიიღო სახელმწიფო დაფინანსება, რაც საშუალოდ ამ ორგანიზაციების მთლიანი ბიუჯეტის მესამედს შეადგენს. სახელმწიფო გრანტების უმეტესობა გაიცემა მსხვილ, ეროვნული მასშტაბით მომუშავე სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე.

სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდი და საარჩევნო სისტემის განვითარების ცენტრი სსო-ების დაფინანსებას განაგრძობენ. სახელმწიფო გრანტების შესახებ ახალი კანონმდებლობა მთავრობას არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების საშუალებას აძლევს.


საქართველოში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ზრდა შეინიშნება. კომპანიებს "ნატახტარი", "თიბისი ბანკი" და "საქართველოს ბანკი" საკუთარი საქველმოქმედო ფონდები აქვთ შექმნილი. ეს ფონდები, ძირითადად, ორიენტირებულია სოციალურ საკითხებზე და პრაქტიკულად არ თანამშრომლობს სსო-ებთან. ბიზნესსა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის არ არსებობა, ნაწილობრივ განპირობებულია ბიზნეს-სექტორის ნდობის ნაკლებობით სამოქალაქო სექტორის მიმართ.

არაეფექტური საკანონმდებლო გარემოს გამო სსო-ების ეკონომიკურ აქტივობას მათ საერთო ბიუჯეტში ძალიან მოკრძალებული წვლილი შეაქვს. 2010 წელს სსო-ების ეკონომიკური აქტივობის შედეგად მიღებული შემოსავალი, საშუალოდ, 12%-ით შემოისაზღვრა.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების 2011 წლის მდგრადი განვითრების ინდექსი

2011 წელს არ შეცვლილა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოყენებადი ფინანსური მენეჯმენტის სისტემა. შედარებით მსხვილი ორგანიზაციები, საერთაშორისო დონორების მოთხოვნების შესაბამისად, აწარმოებენ მოწინავე ფინანსური მართვისა და ანგარიშგების სისტემებს. ნაკლებად განვითარებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ გააჩნიათ ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა, ცოდნა და პროფესიული პერსონალი იმისთვის, რომ დახვეწონ და გაუმჯობესონ თავიანთი სისტემები. მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მხოლოდ ნახევარი ახერხებს გარე აუდიტის ჩატარებას. სსო-ები, ბიუჯეტის სიმცირის გამო, შეზღუდულები არიან ცალკეული პროექტების დაგეგმარებაში. არასამთავრობო ორგანიზაციები იშვიათად ერთვებიან ორგანიზაციის ბიუჯეტის სტრატეგიულ დაგეგმარებაში, ეს კი, ნაწილობრივ, აიხსნება საერთაშორისო დონორების პრიორიტეტების ხშირი ცვალებადობით.

## ადვოკატირება: 4.3



საქართველოში ადვოკატირების შესაძლებლობები საშუალოდ USAID-ის არის განვითარებული, საჯარო პოლიტიკის, დაფინანსებული, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების (G-PAC) პროექტის ფარგლებში, ადვოკატირების შესაძლებლობები შეფასდა საქართველოში. 2011 წლის კვლევის დასკვნაში

აღნიშნულია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები შედარებით წარმატებულნი არიან პრობლემის დროულ ინდენტიფიცირებაში, მნიშვნელოვანი საკითხების აღმოჩენასა და ინფორმაციის მოძიებაში. არასამთავრობო ორგანიზაციებს შედარებით უჭირთ საზოგადოებრივი ინტერესების ადეკვატური მოქმედება, ადვოკატირებისთვის საჭირო რესურსების მოძიება და სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

2011 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეძლეს წარმატებული დიალოგის წარმოება და თანამშრომლობის ურთიერთობის ჩამოყალიბება მთავრობასთან. სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე შეიმუშავეს მნიშვნელოვანი კონსულტაციები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა საარჩევნო და საკონსტიტუციო ცვლილებები.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა მონაწილეობა მიიღეს საჯარო დისკუსიებში, სადაც განიხილებოდა საარჩევნო კოდექსი და მომავალი, 2012-2013 წლების, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობისა საარჩევნო კოდექსის განხილვაში, არჩევნებზე სადამკვირვებლო ჯგუფებმა გააკრიტიკეს ახალი კანონმდებლობა. ორგანიზაციებმა – საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (Tl), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) – გამოთქვეს შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი კოდექსი საარჩევნო გარემოსთვის არ ქმნის გაუმჯობესებულ სამართლებრივ პირობებს.


გარემოს დაცვითმა ორგანიზაციებმა რამდენჯერმე გააკრიტიკეს მთავრობის გეგმები დაცულ ტერიტორიებზე ნადირობის რეგულაციის შემცირების შესახებ. სსო-ების პროტესტის მიუხედავად, 2011 წლის დეკემბერში საკანონმდებლო ინიციატივა მაინც იქნა მიღებული.

საქართველოში ადვოკატირების პრიორიტეტულ საკითხად რჩება მედიის დამოუკიდებლობის საკითხი. 2011 წელს თერთმეტი დამკვირვებელი და მედია ორგანიზაციების მიერ შეიქმნა კოალიცია, რომელსაც ევალებოდა კოორდინირების გაწევა მედია ვითარების გაუმჯობესების პროცესისთვის. კოალიციის შუამავლობით მოგვარდა ერთ-ერთი კერძო ტელევიზიის, „მაესტროს“, აქციონერებს შორის წარმოქმნილი უთანხმოება.

მთავრობამ გამოასახლა ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები დროებითი საცხოვრებელი ადგილებიდან, რომლებიც დევნილებმა 1990-იან წლებში დაიკავეს. ადამიანის უფლებათა დაცვითმა ორგანიზაციებმა მკაცრად გააკრიტიკეს მთავრობა გამოსახლების მეთოდების გამო. ამას გარდა, რვა ორგანიზაციამ ღია წერილში გააკრიტიკა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) თბილისის ოფისი, რომელმაც გაავრცელა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ დევნილთა გამოსახლების პროცესში, მიუხედავად რამდენიმე ხარვეზისა, "არ მომხდარა საერთაშორისო სამართლისა და სტანდარტების დარღვევა".

სამოქალაქო საზოგადოებრივმა ინსტიტუტმა წარმატებით გაუწია ლობირება კანონს, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო სტრუქტურებს არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების საშუალება ეძლევათ.

## მომსახურების უზრუნველყოფა: 4.1



2011 წელს არასამთავრობო ორგანიზაციების მომსახურების სფეროები არ შეცვლილა. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებას, ბიზნეს სექტორსა და მთავრობას სთავაზობენ სხვადასხვა ტიპის მომსახურებას განათლების, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და იურიდიული დახმარების საკითხებში. სოციალურ პრობლემებზე მომუშავე


ორგანიზაციებთან სახელმწიფო ხელშეკრულებების შემცირებამ, თბილისა და რეგიონებში სოციალურ კეთილდღეობაზე მომუშავე ორგანიზაციების საქმიანობათა შემცირება გამოიწვია. მეორეს მხრივ, საერთაშორისო დაფინანსების მეშვეობით გაიზარდა ადგილობრივი ორგანიზაციების შესაძლებლობები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. არასამთავრობო ორგანიზაციებმა კვლავ შეძლეს შესაბამისი საქმიანობის წარმოება, ხარისხის ამაღლება და სამუშაო სპექტრის გაფართოება.

დედაქალაქსა და რეგიონებში არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეძლეს განევითარებინათ მაღალი ხარისხის ტრეინინგები, საკონსულტაციო საქმიანობა და სხვა სერვისები, რომლებიც ამავე სფეროში მომუშავე მოგებაზე ორიენტირებული იორგანიზაციების კონკურენტუნარიანია. საბოლოო ჯამში, არასამთავრობო ორგანიზაციების მომსახურება დადებითად ფასდება, თუმცა სსო-ების უმრავლესობას მარკეტინგული უნარების საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების 2011 წლის მდგრადი განვითრების ინდექსი

არარსებობისა და საზოგადოების დაბალი ინფორმირების გამო, უჭირთ პოტენციური კლიენტების მოძიება, რაც დასტურდება G-PAC-ის სამოქალაქო ცნობიერების შესახებ ჩატარებული კვლევით.

არასამთავრობო ორგანიზაციები კვლავაც უზრუნველყოფენ სხვადასხვა საგანმანათლებლო მომსახურებებს და შეიძლება ითქვას, მათ ამ საქმიანობის შედეგად აქვთ მოვრძალებული, მაგრამ სტაბილური შემოსავალი. არასამთავრობო ორგანიზაციების სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ორაზროვანი კანონის არსებობის გამო, სსო-ებს უჭირთ შემოსავლის (მოგების) მომტან საქმიანობებში ჩართვა და ბაზარზე თავის დამკვიდრება.

## ინფრასტრუქტურა: 4.3



საანგარიშო წელს არასამთავრობო ორგანიზაციების ინფრასტრუქტურა უმნიშვნელოდ განვითარდა. საზოგადოებრივი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის ტრეინინგებს პროექტის მენეჯმენტში, მრავალფეროვნების მართვაში, თანხების მოძიებაში, დაგეგმარებაში, ადვოკატირებასა და განვითარებისა და მართვის სხვა სფეროებში.

2011 წელს, დედაქალაქში თავისუფალ ტრეინინგებზე ხელმისაწვდომობა საგრძნობლად გაიზარდა, რამაც დადებითი წვლილი შეიტანა არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებაში. სხვადასხვა პროექტების ფარგლებში, ადგილობრივი საგრანტო და საერთაშორისო ორგანიზაციები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის უზრუნველყოფენ უფასო საკონსულტაციო და სატრეინინგო მომსახურებას. სულ მცირე ორი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების საკითხებზე. თბილისის გარეთ არსებულ სსო-ებს არ აქვთ წვდომა უფასო სერვისებზე.


საგრანტო ინსტიტუტების ძალიან მცირე ნაწილი, მათ შორის ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, გასცემს საერთაშორისო გრანტებს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. „სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდი“ და „საარჩევნო სისტემების, განვითარებისა და ტრეინინგების ცენტრი“ ასევე გასცემს სახელმწიფო გრანტებს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საგრანტო დაფინანსების სისტემა ეფექტური და მნიშვნელოვანია, ადგილობრივი გრანტები მაინც არ არის საკმარისი მდგრადი სამოქალაქო სექტორის ჩამოყალიბებისათვის.

2011 წელს არასამთავრობო ორგანიზაციები ქმედით ნაბიჯებს დგამდნენ კოალიციების შექმნის მიმართულებით. წლის განმავლობაში საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა სხვადასხვა საკითხებზე მომუშავე კოალიციები დააარსეს, მაგალითად ისეთები, როგორიცაა: მედიის ადვოკატირებისა და დამოუკიდებელი სასამართლოს კოალიციები.

სამოქალაქო სექტორსა და მთავრობას შორის ჩამოყალიბდა მყარი თანამშრომლობა. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება“ ფარგლებში, საქართველოს გაეროს ასოციაცია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების 2011 წლის მდგრადი განვითრების ინდექსი

(UNAG) მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და სხვა სამთავრობო უწყებებთან. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI) სამართლებრივ რეფორმებზე მუშაობს იუსტიციის სამინისტროსთან. 2011 წელს ვერ მოხერხდა კერძო სამეწარმეო საქმიანობასა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარება. ბიზნეს სექტორი არ არის ინფორმირებული და უნდობლობითაა გამსჭვალული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ.

## სსო-ების საზოგადოებრივი იმიჯი (PUBLIC IMAGE): 4.1



გასულ წელს არასამთავრობო ორგანიზაციების რეიტინგი შედარებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ისინი უფრო კრიტიკულები გახდნენ სოციალურ, სამართლებრივ, გარემოსდაცვით და ადამიანის უფლებათა პრობლემების მიმართ. არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობამ საკონსულტაციო საბჭოებში, ადვოკატირების კამპანიამ სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე დადებითი მუხტი გააჩინა მოსახლეობაში. სადამკვირვებლო ჯგუფები პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას განაგრძობენ და მედიის საშუალებით აქტიურობენ.

აღნიშნული წარმატებების მიუხედავად, არასამთავრობო ორგანიზაციებს კვლავ უწევთ მუშაობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით. საზოგადოება ვერ აცნობიერებს იმას, თუ რას ემსახურება სსო. მოსახლეობა არასამთავრობო ორგანიზაციებს ვერ აღიქვავს, როგორც ექსპერტებისა და მრჩევლების წყაროს. საზოგადოებრივი ორგანიზაციები აღიქმებიან მხოლოდ მაკონტროლებელ და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ერთეულებად. G-PAC-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მოსახლეობის მხოლოდ 18 პროცენტი ენდობა არასამთავრობო ორგანიზაციებს მაშინ, როდესაც 23 პროცენტი ღიად აფიქსირებს უნდობლობას. კვლევის მიხედვით, დაბალი ნდობა განპირობებულია არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ საზოგადოებაში არსებული ცოდნის ნაკლებობით. საზოგადოებრივი აზრის კვლევამ აჩვენა, რომ დასახელებული "ყველაზე ცნობილი სსო-ები" არიან მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციები და ლეიბორისტული პარტია, რომელიც გამოკითხულთა 26 პროცენტმა შეცდომით დაასახელა როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია. ბიზნეს სექტორისა და მთავრობის დამოკიდებულება სამოქალაქო სექტორის მიმართ, არაფრით ჩამოუვარდება საზოგადოებაში არსებულ მირითად ტენდენციებს.

2005 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებმა შექმნეს ეთიკის კოდექსი, რომელშიც განსაზღვრულია სსო-ების მოქმედების ძირითადი პრინციპები. თუმცა 2007 წლის შემდეგ კოდექსი დიდი ყურადღების ქვეშ აღარ მოქცეულა.

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მდგრადობის ინდექსი არის ანალიტიკური ინსტრუმენტი, რომლის მიხედვითაც ფასდება სამოქალაქო სექტორის განვითარების დონე ცენტრალურ, აღმოსავლეთ ევროპასა და ევრაზიის რეგიონებში. ბოლო 15 წლის განმავლობაში, ინდექსი ასახავს 29 ქვეყნის სამოქალაქო სექტორის განვითარების დონეს. აქცენტი კეთდება არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივ გარემოზე, ორგანიზაციულ შესაძლებლობებზე, ფინანსურ მდგრადობაზე, ადვოკატირებაზე, სერვისის უზრუნველყოფაზე, ინფრასტრუქტურასა და იმიჯზე. თითოეული საკითხი ფასდება 7–ბალიანი სისტემით, სადაც 1 აღნიშნავს განვითარების ყველაზე მაღალ დონეს, ხოლო 7 ყველაზე - დაბალს. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მდგრადი განვითარების ინდექსი შემუშავებულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: საქართველოს გაეროს ასოციაცია, ელ-ფოსტა: [una@una.ge](mailto:una@una.ge)

2011 წლის ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის რეგიონების სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მდგრადი განვითარების ინდექსის ინგლისური ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:

[http://transition.usaid.gov/locations/europe\\_eurasia/dem\\_gov/ngoindex/](http://transition.usaid.gov/locations/europe_eurasia/dem_gov/ngoindex/)

## 2011 სსო განვითარების ინდექსი

ქვეყანა	სამართლებრივი გარემო	ორგანიზაციული ქმედებებისანობა	ფინანსური სიკოცხლისუნარიანობა	ადვოკატირება	მომსახურებას უზრუნველყოფა	ინფრასტრუქტურა	საზოგადოებრივი იმიჯი	სსო მდგრადობა
<b>ჩრდილოეთ ევროპა</b>								
ჩეხეთი	2.8	3.0	3.2	2.1	2.4	2.8	2.4	2.7
ესტონეთი	1.7	2.3	2.4	1.7	2.3	1.6	1.9	2.0
უნგრეთი	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A
ლატვია	2.3	3.0	3.3	2.1	2.5	2.4	3.2	2.7
ლიტვა	2.2	2.9	3.2	2.0	3.4	3.0	2.6	2.8
პოლონეთი	2.2	2.6	2.7	1.7	2.2	1.7	2.2	2.2
სლოვაკეთი	2.8	3.0	3.4	2.5	2.5	2.3	2.4	2.7
სლოვენია	3.3	3.8	4.4	3.5	3.5	3.6	3.7	3.7
სამხედო	<b>2.5</b>	<b>2.9</b>	<b>3.2</b>	<b>2.2</b>	<b>2.7</b>	<b>2.5</b>	<b>2.6</b>	<b>2.7</b>
<b>სამხრეთ ევროპა</b>								
აღბანეთი	3.9	3.9	4.6	3.6	3.7	4.0	3.8	3.9
ბოსნია	3.4	3.4	4.8	3.1	3.9	3.8	3.3	3.7
ბულგარეთი	2.2	4.4	4.6	2.7	3.2	3.3	3.2	3.4
ხორვატია	2.9	3.0	4.3	3.1	3.2	2.7	3.0	3.2
კოსოვო	3.5	3.8	4.7	3.8	3.9	3.7	3.8	3.9
მაკედონია	3.2	3.7	4.5	3.3	3.8	3.3	4.0	3.7
მონტენეგრო	3.5	4.3	4.9	3.5	4.0	3.9	4.3	4.1
რუმინეთი	3.6	3.5	4.3	3.4	3.1	3.2	3.6	3.5
სერბეთი	4.1	4.3	5.4	3.6	4.2	3.7	4.5	4.3
სამხედო	<b>3.4</b>	<b>3.8</b>	<b>4.7</b>	<b>3.3</b>	<b>3.7</b>	<b>3.5</b>	<b>3.7</b>	<b>3.7</b>
<b>ევრაზია: რუსეთი, დასავლეთ დასტ და კავკასია</b>								
სომხეთი	3.9	3.9	5.2	3.4	3.9	3.5	4.0	4.0
აზერბაიჯანი	4.7	4.5	5.5	4.6	4.6	4.4	4.8	4.7
ბელარუსია	6.9	5.1	6.5	5.8	5.5	5.4	5.9	5.9
საქართველო	3.3	4.1	5.0	4.3	4.1	4.3	4.1	4.2
მოლდოვა	4.2	4.0	5.0	3.6	4.4	3.6	4.0	4.1
რუსეთი	4.5	4.3	4.8	4.0	4.2	4.0	4.7	4.4
უკრაინა	3.5	3.5	4.3	2.6	3.3	3.4	3.6	3.5
სამხედო	<b>4.4</b>	<b>4.2</b>	<b>5.2</b>	<b>4.0</b>	<b>4.3</b>	<b>4.1</b>	<b>4.4</b>	<b>4.4</b>
<b>ცენტრალური აზია</b>								
ყაზახეთი	3.9	4.2	4.6	3.9	4.0	3.7	4.1	4.1
ყირგიზეთი	3.9	4.3	5.3	3.2	4.0	3.7	4.1	4.1
ტაჯიკეთი	4.9	4.5	5.6	4.8	4.4	4.5	4.5	4.7
თურქმენეთი	6.2	5.3	6.0	6.0	5.2	5.2	5.5	5.6
უზბეკეთი	6.0	5.5	6.2	5.9	5.4	5.6	5.6	5.7
სამხედო	<b>5.0</b>	<b>4.8</b>	<b>5.5</b>	<b>4.8</b>	<b>4.6</b>	<b>4.5</b>	<b>4.8</b>	<b>4.8</b>
ევრაზია & ცენტრალური აზია სამხედო	<b>4.7</b>	<b>4.4</b>	<b>5.3</b>	<b>4.3</b>	<b>4.4</b>	<b>4.3</b>	<b>4.6</b>	<b>4.6</b>

N/A = 'ლოგისტიკური პრობლემების გამო ამ წელს ვერ მოხერხდა შეფასების განხორციელება